**თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**სალექციო კურსის სასწავლო გეგმა**

**(სილაბუსი)**

# ფ ო ლ კ ლ ო რ ი

**სასწავლო კურსის კოდი:** H.1.L.01

**ლექტორი:** ქართული ფილოლოგიის კათედრა. ასოცირებული პროფესორი

ნინო სოზაშვილი

საკონტაქტო ტელეფონი: 27 34 92 899 98 53 03

e-mail: ninosozashvili@gmail.com

**კრედიტების რაოდენობა:** 5 (ხუთი) ECTS კრედიტი. ხანგრძლივობა: 15 კვირა – 125 საათი. ა) საუდიტორიაო – 45 სთ. (ლექცია – 30, პრაქტიკული – 15); ბ) დამოუკიდებელი – 80. კვირაში ჩატარდება 3 საუდიტორიო შეხვედრა.

**სალექციო კურსის სტატუსი:** სავალდებულო. კურსი ისწავლება ბაკალავრიატის „კულტუროლოგია“ (minor) სპეციალობაზე, (V სემესტრი).

**სალექციო კურსის მიზანია:** ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების სპეციფიკის შესწავლა. კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს ხალხური სიტყვიერების წყაროების თავისებურებათა ანალიზი. კურსის მიზანია წარმოუჩინოს სტუდენტს ხალხური ზეპირსიტყვიერების არსი, შეაცნობინოს მისი ისტორიული განვითარების კანონზომიერებანი, გააზრებინოს ფოლკლორის საზოგადოებრივი ფუნქციის არსი. კურსის დამთავრების შემდეგ სტუდენტს ასევე უნდა შეეძლოს ქართულ ზეპირსიტყვიერებასთან დაკავშირებული პირველწყაროების მოპოვება-დამუშავება, ანალიზი; გააჩნდეს ანალიზისა და სინთეზის უნარი; შემქმედებითი ძიების უნარი; შეეძლოს განჭვრიტოს დასკვნის მოსალოდნელი შედეგები; შეძლოს ზეპირი და წერილობითი ინფრმაციების მომზადება და ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ასპექტების შესახებ.

**სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები:** სასწავლო კურსს შესწავლის წინაპირობები არ გააჩნია.

**სასწავლო კურსის შედეგი:** კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტმა უნდა შეძლოს ფოლკლორული მასალის დამოუკიდებლად დამუშავება, უნდა ერკვეოდეს ხალხური

სიტყვიერების სპეციფიკურ არსში, ასევე უნდა შეეძლოს ცალკეულ საკითხებზე სპეციალური დაკვირვება და სხვა პრობლემებში გარკვევა. სტუდენტს უნდა გამოუმუშავდეს ფოლკლორული ტექსტის ჩაწერისა და ანალიზის უნარ-ჩვევები.

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | ესმის ქართული ფოლკლორის ასპექტების რაობა; იცნობს ხალხური სიტყვიერების ძირითად კონცეფციებს. | აქვს საფუძვლიანი ცოდნა ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიაში; დაუფლებულია პირველწყაროების მოპოვება-დამუშავების უნარს; ამოცანების დასმის და მათი გადაჭრის მეთოდებს. |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | შეუძლია ქართულ ფოლკლორთან დაკავშირებული დისციპლინების პრობლემების შეფასება, ანალიზი; შეუძლია პრობლემების გადაწყვეტის გზების დაგეგმვა, მათი გადაჭრის ახალი გზების შემუშავება. | ხელმძღვანელის მითითებით შეუძლია ქართულ ფოლკლორთან დაკავშირებული დისციპლინების პირველწყაროების მოპოვება-დამუშავება, ანალიზი. |
| დასკვნის უნარი | შეუძლია ხელმძღვანელის მითითების გათვალიწინებებთ სამუშაო პროცესში გამოვლენილი მარტივი პრობლემების ამოცნობა. | გააჩნია ანალიზისა და სინთზის უნარი; შემქმედებითი ძიების უნარი; შეუძლია განჭვრიტოს დასკვნის მოსალოდნელი შედეგები. |
| სწავლის უნარი | კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს განვითარებული აქვს სწავლის შეძენის უნარი და შეუძლია სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო საფეხურზე; შეუძლია სხვისი ხელმძღვანელობით სწავლა. | ხელმძღვანელის უშუალო დახმარებით შეუძლია ახალი ინფორმაციის მოძიება და საკუთარი პროფესიული დონის გაღრმავება. ასევე შეუძლია სწავლა გამოცდილი სპეციალისტების პრაქტიქულ მაგალითებზე დაყრდნობით. |
| ღირებულებები | იცნობს ქართული ფილოლოგიის დამახასიათებელ ღირებულებებს. | იხილავს და აანალიზებს ქართულ ფოლკლორთან დაკავშირებული დისციპლინების მიერ დასმულ საკითხებს. შეუძლია ფოლკლორისტიკასთან დაკავშირებული დისციპლინების წინაშე მდგარი საკითხების გადაჭრა სტანდარტული მეთოდებით; ითვალისწინებს და პატივს სცემს მეცნიართა აზრს. |

## კურსის შინარსი კვირების მიხედვით:

**I კვირა:**

ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან.

ლექცია – 2, სემინარი – 1.

ლიტერატურა: ჯაგოდნიშვილი თ. (2004), ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია, გვ. 22-69.

**II კვირა:**

ხალხური სიტყვიერება და მისი შემსწავლელი მეცნიერება.

ლექცია – 2, სემინარი – 1.

ლიტერატურა: ჩიქოვანი მ. (1956), ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. გვ. 5-23

**III კვირა:**

ხალხური სიტყვიერების დაცვა და გავრცელება. ზეპირსიტყვიერების მატარებელნი საქართველოსა და უცხოეთში.

ლექცია – 2, სემინარი – 1.

ლიტერატურა: ჩიქოვანი მ. (1956), ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. გვ. 26-64.

**IV კვირა:**

ქართული ფოლკლორისტიკა XIX საუკუნის დასაწყიუსში.

ლექცია – 2, სემინარი – 1.

ლიტერატურა: ჯაგოდნიშვილი თ. (2004), ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია, გვ. 82-127.

**V კვირა:**

პროფესიული და არაპროფესიული შემსრულებელნი. ხალხური შემოქმედების ინდივიდუალური და კოლექტიური საწტისები. სახალხო შემსრულებელთა შემოქმედებითი წყაროები.

ლექცია – 2, სემინარი – 1.

ლიტერატურა: ჩიქოვანი მ. (1956), ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. გვ. 64-78.

**VI კვირა:**

ძველი წერილობითი ცნობები ხალხური სიტყვიერების შესახებ.

ლექცია – 2, სემინარი – 1.

ლიტერატურა: ჩიქოვანი მ. (1956), ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. გვ. 78-96.

**VII კვირა:**

ქართული ფოლკლორისტიკა XIX საუკუნის 40-50-იან წლებში.

ლექცია – 2, სემინარი – 1.

ლიტერატურა: ჯაგოდნიშვილი თ. (2004), ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია, გვ. 136-314.

**VIII კვირა:**

ქართული ზეპირსიტყვიერების შეკრებისა და შესწავლის მდგომარეობა მე-19 საუკუნის 60-იან წლებში.

ლექცია – 2, სემინარი – 1 (შუალედური წერა).

ლიტერატურა: ჩიქოვანი მ. (1956), ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. გვ. 96-116.

**IX კვირა:**

ქართველ რომანტიკოსთა ფოლკლორისტული ინტერესები.

ლექცია – 2, სემინარი – 1.

ლიტერატურა: ჯაგოდნიშვილი თ. (2004), ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია, გვ. 314-335.

**X კვირა:**

ქართული ფოლკლორისტული აზრი XIX საუკუნის II ნახევარში.

ლექცია – 2, სემინარი – 1.

ლიტერატურა: ჯაგოდნიშვილი თ. (2004), ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია, გვ. 534-717.

**XI კვირა:**

ქართული აკადემიური ფოლკლორისტიკა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე და მისი პედაგოგიური ასპექტები.

ლექცია – 2, სემინარი – 1.

ლიტერატურა: ჯაგოდნიშვილი თ. (2004), ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია, გვ. 759-800.

**XII კვირა:**

ხალხური სიტყვიერების ჟანრები. შრომის ლექსი. საწესჩვეულებო კალენდარული პოეზია. საქორწილო ჩვეულებანი და მაყრული. მიცვალებულთა კულტი და მოთქმანი.

ლექცია – 2, სემინარი – 1.

ლიტერატურა: ჩიქოვანი მ. (1956), ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. გვ. 225-286.

დამხმარე ლიტერატურა: არაბული ა. (2006), სამგლოვიარო პოეზია.

**XIII კვირა:**

შელოცვა და მისნობა. ანდაზა. გამოცანა. ეპიტაფია. ქება. საყოფიერო ლექსი. ბალადა. ელეგია. გაზაასება.

ლექცია – 2, სემინარი – 1.

ლიტერატურა: ჩიქოვანი მ. (1956), ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. გვ. 287-349.

**XIV კვირა:**

მითი. ლეგენდა. თქმულება. ზღაპარი. ხალხური ეპოსი.

ლექცია – 2, სემინარი – 1.

ლიტერატურა: ჩიქოვანი მ. (1956), ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. გვ. 350-478.

**XV კვირა:**

გმირული პოემა. ისტორიული ლექსი. სასულიერო-რელიგიური ლექსები. ხალხური დრამა.

ლექცია – 2, სემინარი – 1.

ლიტერატურა: ჩიქოვანი მ. (1956), ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია. გვ. 479-525.

დამხმარე ლიტერატურა: სპარსიაშვილი ა. (2008), ხალხური სასულიერო პოეზია.

## სწავლებისა და სწავლის მეთოდები

დასახული მიზნების მიღწევისათვის გათვალისწინებულია სწავლების შემდეგი ფორმების გამოყენება: ლექცია, სემინარი(პარაქტიკული სამუშაო), დამოუკიდებელი მუშაობა, პრეზენტაცია. სემინარული მუშაობა გულისხმობს თითოეული სტუდენტის მიერ სასემინარო მასალის ინდივიდუალურად დამუშავებას, მის პრეზენტაციას და ასევე სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას სასემინარო თემის განხილვის პროცესში. იგი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სტუდენტის მიერ ისეთი საკითხების ათვისებას, რომელთა გავლა სათანადო სიღრმით ვერ ხერხდება სწავლების ლექციური ფორმის დროს.

## სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი აუცილებელი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა. ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს მაქსიმუმ 100 ქულას. მათი თანაფარდობა განისაზღვრება შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

ა) შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;

ბ) დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1) მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა);

2) მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა);

3) მაქსიმუმ 10 ქულა.

შუალედური შეფასებების თითოეული კომპონენტი შეფასდება ერთი სახის შეფასებით. დაუშვებელია, მაგალითად, მეორე კომპონენტის 20 ქულიდან სტუდენტი 10 ქულით შეფასდეს საშინაო დავალების შესრულებით, ხოლო მეორე 10 ქულით – სემინარზე გამოსვლით.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტი შეფასდება წერითი ფორმით ორჯერადად, სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული მასალის ორ ნაწილად გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს შუალედური წერით, საკონტროლო წერით, ტესტირებით და სხვა.

შუალედური შეფასებების მეორე კომპონენტი შეფასდება ოთხჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს აქტივობებით სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებზე, წერითი და/ან ზეპირი საშინაო დავალებებით, ლაბორატორიული სამუშაობებით და სხვა.

შუალედური შეფასებების პირველი კომპონენტის პირველი შეფასება – მაქსიმუმ 15 ქულა და მეორე კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა (2 x 5 ქულა) დაიწერება არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად დაფიქსირდება შუალედური შეფასებების უწყისში მათი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

შუალედური შეფასებების მესამე კომპონენტი შეფასდება ერთჯერადად, წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით. აღნიშნული კომპონენტი შეფასდება პრეზენტაციაზე მოხსენებით, რეფერატის წარდგენით და სხვა.

პრეზენტაციით ან რეფერატით შეფასების შემთხვევაში, სემესტრის დასაწყისში შედგება სტუდენტთა პრეზენტაციების ან რეფერატების ცხრილი, რომელიც აუცილებლად წინასწარ შეთანხმდება სტუდენტებთან. შეთავაზებული თემატიკიდან სტუდენტი თავად ირჩევს პრეზენტაციის ან რეფერატის თემას. მათი შეფასება განისაზღვრება შემდეგი კომპონენტების დაცვით:

1) თემის გასაგებად წარმოდგენა – მაქსიმუმ 4 ქულით;

3) დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა – მაქსიმუმ 4 ქულით;

4) ვიზუალური საშუალებების გამოყენება – მაქსიმუმ 2 ქულით.

შუალედურ შეფასებებში სტუდენტის მიერ მიღებული ქულები გამოცხადდება არა უგვიანეს მათი ჩატარებიდან 3 სამუშაო დღისა. ქულები გამოცხადების დღესვე გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს იმავე დღეს გააპროტესტოს შუალედურ შეფასებებში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შედის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არგუმენტირებულ პასუხს იძლევა არაუგვიანეს ერთი კვირისა.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება მიეცემა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მაქსიმალური 60 ქულიდან უგროვდება მინიმუმ 11 ქულა, ხოლო თუ სტუდენტს შუალედურ შეფასებებში უგროვდება მინიმუმ 51 ქულა, მაშინ ის თვითონ გადაწყვეტს დასკვნით გამოცდაზე გასვლის საკითხს, რის შესახებაც დროულად აცნობოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით, ხოლო შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე დაფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

სტუდენტს უფლება აქვს ნიშნის გამოცხადების დღესვე გააპროტესტოს დასკვნით გამოცდაში მიღებული ქულა ფაკულტეტის დეკანის სახელზე დაწერილი განცხადებით. ფაკულტეტზე შექმნილმა სააპელაციო კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ საგნის ლექტორი, ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და შესაბამისი სპეციალობის რამდენიმე წარმომადგენელი, განიხილოს სტუდენტის ნაწერი და გამოკითხოს სტუდენტი. კომისიას უფლება აქვს გააუქმოს ნიშანი და თავიდან შეაფასოს სტუდენტი ხმათა უმრავლესობით, რისთვისაც შედგება შესაბამისი ოქმი, რომელიც დაერთვება უწყისს.

შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის კრიტერიუმები, შეფასების ფორმები და ჩატარების სავარაუდო თარიღები დეტალურად გაიწერება სასწავლო კურსის სილაბუსში, იქნება გამჭვირვალე და სტუდენტებისათვის გასაგები. რომელიმე თარიღის ცვლილების შემთხვევაში სტუდენტებს წინასწარ მიეწოდებათ ინფორმაცია.

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ფორმით და/ან ზეპირი გამოკითხვით, ხოლო შედეგები გამოცხადდება არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა. გამოცდის შედეგები გამოცხადებისთანავე დაფიქსირდება უწყისში და გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატს.

საკრედიტო შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

. 91-100 ქულა : A (ფრიადი)

. 81-90 ქულა: B (ძალიან კარგი)

. 71-80 ქულა: C (კარგი)

. 61-70 ქულა: D (დამაკმაყოფილებელი)

. 51-60 ქულა: E (საკმარისი)

არსებობს ორი ტიპის უარყოფითი შეფასება:

. 41-50 ქულა: FX (ვერ ჩააბარა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს კრედიტის მისაღებად მეტი მუშაობა სჭირდება და უფლება აქვს მაქსიმუმ ერთი თვის ვადში დამატებითი მუშაობის შედეგად გადააბაროს მხოლოდ დასკვნითი გამოცდა. ასეთ შემთხვევაში მის საბოლოო შეფასებაში გათვალისწინებული იქნება შეფასების სხვა კომპონენტებში მის მიერ სემესტრის განმავლობაში დაგროვილი ქულათა ჯამიც.

. 40 და ნაკლები ქულა - F (ჩაიჭრა). ამ შემთხვევაში სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტი რეგისტრირდება სგანზე, რაზეც დგება ინდივიდუალური ცხრილი საგნის ასათვისებლად. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა.

**ძირითადი ლიტერატურა:**

1. მ. ჩიქოვანი (1975), ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბილისი, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა.
2. თ. ჯაგოდნიშვილი (2004), ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია, I, თბილისი, თბილისის უნივერსტეტის გამომცემლობა.

დამხმარე ლიტერატურა:

1. ა. არაბული (2006), სამგლოვიარო პოეზია, გამომცემლობა ,,ზეკარი~.
2. ა. სპარსიაშვილი (2008), სასულიერო პოეზია, გამომცემლობა ,,ცოდნა~.

**დამატებითი ლიტერატურა:**

1. ზ. მოსია (2006), „ქართული ფოლკლორის სახისმეტყველება", თბილისი, გამომცემლობა „მერანი".
2. ნ.სოზაშვილი (2007), ქართული დრამატურგია და ხალხური შემოქმედება", I-II ტომი, გამომცემლობა „ცოდნა".
3. რ. ჩოლოყაშვილი (2009), „ზღაპარი და სინამდვილე", თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
4. გ. ჭელიძე (1987), „ქართული ხალხური დრამა", თბილისი, გამომცემლობა „განათლება".

სტუდენტებს პერიოდულად მიეთითებათ უახლესი კვლევები სამეცნიერო ჟურნალებიდან, როგორც დამატებითი ლიტერატურა.

**წარმატებას გისურვებთ!**